ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲜᲐ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ, რომ გამოცდა ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, პროფესიული ცოდნა) შედგება და წარმატების მისაღწევად საჭიროა ბარიერის გადალახვა ხუთივე ნაწილში.

ასევე აუცილებელია ბარიერის გადალახვა მთლიან ტესტშიც.

პასუხების ფურცელზე ამა თუ იმ დავალების გადატანის წესი თან ახლავს ყოველ დავალებას.

გამოცდის მაქსიმალური ქულაა 85, ხოლო ამ ტესტში მოცემული დავალებებისა – 74.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 1. რით გამოირჩევა თანამედროვე განათლება?

ა) იგი ადამიანს ერთი მიმართულებით განვითარებას აიძულებს.

ბ) იგი სპეციალისტისაგან ღრმა ცოდნას აღარ ითხოვს.

გ) იგი სპეციალობების ერთმანეთისაგან გამიჯვნას უწყობს ხელს.

დ) იგი უფრო მრავალმხრივი და სინთეზური ხდება.

(1) 2. რესპონდენტის აზრით, რა არის საჭირო დღეს იმისათვის, რომ კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდე?

ა) მხოლოდ შრომის ბაზრის შესწავლა და მისი მოთხოვნების ცოდნა.

ბ) საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის საფუძვლიანად შესწავლა.

გ) სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა საჭირო საკითხის გასააზრებლად.

დ) სხვადასხვა მიმართულებით განვითარება და ცოდნის გაღრმავება.

(1) 3. რას გულისხმობს რესპონდენტი „სინთეზურ განათლებაში“?

ა) პროფესიული საქმიანობის დროს თავისუფალი ნაბიჯების გადადგმას.

ბ) საინტერესო ექსპერიმენტების ჩატარების გზით ცოდნის შეძენას.

გ) სამეცნიერო დარგებში ბევრი სერიოზული მეცნიერის არსებობას.

დ) ხშირად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სპეციალობების შერწყმას.

(1) **4. რა ანიჭებს ადამიანს სიამოვნებას პროფესიაში?**

ა) ბევრი ფიქრი თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებისას.
ბ) რისკის გაწევა, თავისუფალი ნაბიჯების გადადგმა.
გ) სწავლების ტრადიციული გზისთვის უპირატესობის მინიჭება.
დ) შრომის ბაზრის საჭიროებების სწორად გააზრება.

(1) **5. როდესაც გაკვეთილზე ახალ მასალას არატრადიციული გზით ხსნი, ეს ნიშნავს, რომ:**

ა) გაინტერესებს პედაგოგიური საქმიანობისას ექსპერიმენტების ჩატარება.
ბ) ზუსტად ვერ აცნობიერებ ტრადიციული გზების მნიშვნელობას.
გ) მოსწავლეებს გაკვეთილზე ყველაფრის უფლებას აძლევ.
დ) საჭირო მასალის მოსაძებნად მეტი დრო გეხარჯება.

(1) **6. რესპონდენტის აზრით, კარგად შედგენილი კანონი:**

ა) ადამიანსა და საზოგადოებას უფრო თავისუფალს ხდის.
ბ) განათლების დარგს უფრო მრავალმხრივსა და სინთეზურს ხდის.
გ) პიროვნებას უდგენს მკაცრ საზღვრებს, თუ რა არ შეიძლება.
დ) საზოგადოებას უდგენს მკაცრ საზღვრებს, თუ რა არ შეიძლება.

(1) **7. რა უკვირს რესპონდენტს თანამედროვე ახალგაზრდებში?**

ა) ისინი მაგისტრატურაში იმავე სპეციალობას ეუფლებიან, რომელიც ბაკალავრიატში შეისწავლეს.

ბ) ისინი მეტად გამბედავნი არიან და არ უშინდებიან სიახლეებს, სითამამეც მეტი აქვთ.

გ) ისინი, როგორც წესი, გარე სამყაროს მიმართ უფრო ჩაკეტილნი არიან.

დ) ისინი სკოლაში იმ საგნებს სწავლობენ, რომლებიც მოსწონთ და აინტერესებთ.

(1) **8. ვინ არის, რესპონდენტის აზრით, „შემდგარი“ ადამიანი?**

ა) ის, ვინც განათლებულია და ცოდნას საკუთარი წარმატებისათვის იყენებს.

ბ) ის, ვინც პროფესიული საქმიანობის დროს არატრადიციულ გზებს მიმართავს.

გ) ის, ვისაც საკმარისი ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი აქვს.

დ) ის, ვისაც შეუძლია ესა თუ ის მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

(1) **9. რომელი ციტატა გამოხატავს ინტერვიუს მთავარ სათქმელს?**

ა) „ბევრი ადამიანი თუ ლიტერატურული პერსონაჟი მახსენდება, რომელთაც მრავალი დაბრკოლება გადალახეს და გზა მაინც გაიკაფეს, მაინც თავისას მიაღწიეს“.

ბ) „გვჭირდება განათლებული ადამიანი, რომელიც საკუთარ ცოდნას ქვეყნის განვითარებისა და არა პირადი კეთილდღეობისათვის გამოიყენებს; სწორედ ასეთ დროს იმარჯვებს მთელი ქვეყანა“.

გ) „დღეს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა მოიცავს პოლიტეკონომიას, სამართალს, სოციოლოგიას, ანთროპოლოგიასაც კი... თუ გინდა საერთაშორისო ურთიერთობების უკეთესი სპეციალისტი იყო, ამ დარგებში ცოდნა უნდა გაიღრმაო“.

დ) „მეც მომიხდა ცხოვრებაში რამდენიმე მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა, რადიკალური ცვლილება, მაგრამ დღევანდელ ახალგაზრდებს ბევრად უფრო უადვილდებათ გაბედული მანევრები“.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) **ყურადღებით წაიკითხეთ ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „ძმები“:**

ქალაქიდან დილის ავტობუსს ამოჰყვნენ. კაცმა ბარებს მორყეული სატერფულები გაუმაგრა და შვილები ნაბოსტნარში ჩააყენა: თქვენ ხო ორნი ხართ და მე – ერთი, აბა ვინ უფრო მალე მორჩებაო, და თვითონ ვენახში წავიდა. ვნახოთ, ვნახოთო! – ეღიმებოდათ ბიჭებს და თან ხელისგულისოდენა საბოსტნეს თვალით ზომავდნენ – ამის გამობარვას რა დიდი რამე უნდა, ერთ საათში მოვრჩებითო! მართლაც, თავიდან იოლად ჩადიოდა ბარის პირი აფუებულ მიწაში, ბიჭები ხალისით აბრუნებდნენ დიდ-დიდ ბელტებს. გაზაფხულის ჩახჩახა მზე საამოდ აცხუნებდა და იმ ბელტებს თბილი, სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. მაგრამ მერე და მერე გაუჭირდათ, დაუმძიმდათ ბარები და როცა ხელისგულზე წითელი, სისხლიანი ბებერებიც დაასხდათ, მიხვდნენ, რომ არც ისე იოლად იყო საქმე, როგორც თავიდან ეგონათ...

ახლა უფრო ხშირ-ხშირად ისვენებდნენ, ჩუმად, მუშტრის თვალით ამოწმებდნენ დაბარულ, გადაშავებულ მიწას და დაუბარავს ადარებდნენ, მაგრამ ყოველი ასეთი შესვენებისას სასოწარკვეთილები რწმუნდებოდნენ, რომ იმათ ნამუშევარს ბევრი არაფერი მომატებოდა და არც დასაბარს მოჰკლებოდა რამე... ამასობაში მოშივდათ კიდეც... მაგრამ სხვა გზა არ იყო, მამას უნდა დალოდებოდნენ...

განაგრძეს ბარვა. ახლა უფრო სტკიოდათ სატერფულებზე დაბეჟილი ფეხისგულები, სახეზე ხვითქი გადასდიოდათ და ცხვირის წვერებზე ეკიდათ შუბლიდან ჩამონადენი ოფლის მლაშე წვეთები, მაგრამ მაინც გულმოდგინედ, წამებულთა სიჯიუტით ირჯებოდნენ...

უმცროსმა ბარი მიწაში ჩაარჭო, დაჯდა და ატკივებული ზურგით ვაშლის ძირს მიეყრდნო...

უფროსი ბიჭი ერთხანს კიდევ ბარავდა, მაგრამ მალე იმასაც წაერთვა ხალისი, ძმას გვერდით მიუჯდა და ბარის ტარი მუხლებშუა ჩაიდო...

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

რაღაც უცნაური, ნეტარების მომგვრელი სიმშვიდე მოჟონავდა ფხვიერი მიწიდან, ვაშლის ხის დაშაშრული ქერქიდან, ალუბლის ყვავილებიდან და მხრებით ერთმანეთს მიხუტებული, დაღლილი ბიჭები მთელი სხეულით ისრუტავდნენ იმ დამათრობელ, სახსრების მომდუნებელ სიმშვიდეს...

უეცრად უმცროსმა ყურები ცქვიტა, წამოიწია და ჰაერი ხარბად დაყნოსა – ჰაერში ახალგამომცხვარი პურის მძაფრი, მადისაღმძვრელი სურნელი ტრიალებდა. ბიჭი მუხლებზე დადგა, კისერწაგრძელებულმა მიმოიხედა:

– პურს აცხობენ, ე?!

– დიდი ამბავი, – ჩაიბუზღუნა უფროსმა, – ავდგეთ ახლა, გვეყოფა!

წამოიზლაზნენ და ბარვა განაგრძეს. ერთხანს უხმოდ ირჯებოდნენ. მერე უმცროსს ხელისგული აეწვა და პატარა, ვარდისფერ ჭრილობას ცნობისმოყვარედ დააცქერდა...

– ნახე! ბებერა გამისკდა.

– მიდი, მიდი, იმუშავე!

– როგორ ვიმუშაო, ბიჭო, მტკივა!

უფროსმა შუბლი შეიჭმუხნა:

– მიდი იმუშავე, თორემ წაგარტყი ახლა!

– როგორ ვიმუშაო, – გაბრაზდა უმცროსი, ტირილს აღარაფერი აკლდა, – მტკივა, ხო გითხარი!

უფროსმა მოუქნია ხელი, კისერში უნდოდა წაეთაქებინა, მაგრამ იმან თავი უკან გასწია და ხელი სახეში მოხვდა... ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. თვალებგაფართოებული ბიჭი უსიტყვოდ შესცქეროდა ძმას, მერე ბარი დააგდო, შებრუნდა და წავიდა.

– მოიცა, ე, არ მინდოდა! – დაადევნა უფროსმა, მაგრამ ბიჭი ღობეს გადაევლო და თავქვე დაეშვა.

რაღას იზამდა უფროსი, დაიწყო ისევ ბარვა.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

თვალწინ ედგა ძმის მობრეცილი სახე, მოელვარე თვალები და გრძნობდა, თანდათანობით როგორ უნელდებოდა სინდისის ქენჯნა, რანაირად იპყრობდა ბრაზი – სატერფულს ჯიბრიანი თავგამეტებით სცემდა ფეხს და დიდრონ ბელტებს ზედიზედ აბრუნებდა...

შუადღე გადასულიყო... ბიჭი იდგა, გადაშავებულ ნაბოსტნარს ათვალიერებდა და გრძნობდა, რანაირად ებერებოდა მკერდი, როგორ ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა სისხლი ძარღვებში. მერე წავიდა, ვაშლის ძირში მიჯდა და ახლა იქიდან გახედა ნამუშევარს...

აპრილის ძალამიცემული მზით გამთბარ მიწას ალმური ასდიოდა, ნაბარავი შრებოდა, თვალდათვალ ხუნდებოდა... სიჩუმე ჩამოწოლილიყო და იმ სიჩუმეში ბიჭმა ძმის მორიდებული ნაბიჯების ხმა გაიგონა.

თავიც არ მიუბრუნებია, პირველ ჩქამზევე მიხვდა, რომ ის იქნებოდა... ცდილობდა არ გაღიმებოდა, მაგრამ ვერა და ვერ შეეჭმუხნა შუბლი. კუტიკარი რომ გაჭრიალდა, მაშინღა მიიხედა და გაოცებისაგან პირი დააღო. ბიჭს ერთი მთელი პური ეჭირა ხელში, რომელსაც ზემოდან ყველის ნაჭერი ედო... კარგა მოშორებით გაჩერდა და იქაურობას თვალი მოავლო. ჩუმად ათვალიერებდა გადაშავებულ საბოსტნეს.

– მოდი აქ, მოდი...

ბიჭი გულდინჯად წამოვიდა, გვერდით მიუჯდა, ცხელი პური შუაზე გატეხა, მერე ყველიც და პირუჩუმრად მიაწოდა...

თვალის დახამხამებაში შეჭამეს ის იმოდენა პური და ყველიც ზედ მიაყოლეს. უმცროსი წამოდგა, პირმომტვრეულ დოქს დაავლო ხელი და ბილიკზე გავიდა. უფროსი იჯდა და ჩუმად მისჩერებოდა ძმის ზურგს, მოზრდილ თავსა და პატარა, გალეულ მხრებს. გრძნობდა, როგორ სტკიოდა წელი, რანაირად უბჟუოდა ხელ-ფეხი, მაგრამ ამას ყველაფერს სალბუნად ედებოდა და თანდათანობით უქარვებდა რაღაც გაუგებარი, მაგრამ უცნაური და ყოვლისმომცველი სიხარული...

გავიდა დრო. ორივენი დაიზარდნენ, შეებნენ ცხოვრების ეკლიან უღელში და მრავალთა მიზეზთა გამო ნელ-ნელა გაუუფერულდათ ბალღობისდროინდელი მოგონებები, მაგრამ ჯერაც არ დავიწყებიათ გემო იმ ცხელი, სურნელოვანი პურისა, რადგან პირველად სწორედ მაშინ გაიგეს ძმობისა და ერთმანეთის ტკბილ-მწარე სიყვარულის ფასი.

კითხვებზე გადასვლა: 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება.
ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) 10. მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში ავტორი:

ა) აფასებს მამის მიერ ბიჭებისთვის მიცემულ დავალებას.

ბ) გამოკვეთს ნაწარმოების ძირითად სათქმელს.

გ) გვარწმუნებს მოსალოდნელი კონფლიქტის აუცილებლობაში.

დ) გვაცნობს გარემოს, სადაც ხდება მოქმედება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. „ვნახოთ, ვნახოთო! – ეღიმებოდათ ბიჭებს“. ამ სიტყვებში ჩანს ბიჭების:

ა) გამჭრიახობა.

ბ) თავდაჯერებულობა.

გ) შრომისმოყვარეობა.

დ) წინდახედულობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რომელ ციტატაშია საუბარი პერსონაჟების ემოციური მდგომარეობის შესახებ?

ა) „ამასობაში მოშივდათ კიდეც... მაგრამ სხვა გზა არ იყო, მამას უნდა დალოდებოდნენ“.

ბ) „ახლა უფრო სტკიოდათ სატერფულებზე დაბეჟილი ფეხისგულები“.

გ) „სასოწარკვეთილები რწმუნდებოდნენ, რომ იმათ ნამუშევარს ბევრი არაფერი მომატებოდა“.

დ) „წამოიზლაზნენ და ბარვა განაგრძეს. ერთხანს უხმოდ ირჯებოდნენ“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მეტაფორა?

ა) „ბიჭები ხალისით აბრუნებდნენ დიდ-დიდ ბელტებს“.

ბ) „თავიდან იოლად ჩადიოდა ბარის პირი აფუებულ მიწაში“.

გ) „კაცმა ბარებს მორყეული სატერფულები გაუმაგრა“.

დ) „ნეტარების მომგვრელი სიმშვიდე მოჟონავდა ფხვიერი მიწიდან“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **14. რომელ ციტატაშია ყურადღება გამახვილებული ძმების თვისებაზე?**

ა) „გულმოდგინედ, წამებულთა სიჯიუტით ირჯებოდნენ“.

ბ) „მაშინ გაიგეს... ერთმანეთის ტკბილ-მწარე სიყვარულის ფასი“.

გ) „მთელი სხეულით ისრუტავდნენ იმ დამათრობელ… სიმშვიდეს“.

დ) „ნელ-ნელა გაუუფერულდათ ბალღობისდროინდელი მოგონებები“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. ნაბოსტნარში მარტო დარჩენილი უფროსი ძმა „სატერფულს ჯიბრიანი თავგამეტებით სცემდა ფეხს“. მოთხრობის ამ ეპიზოდის მიხედვით:

ა) იგი გაბრაზებულია ძმაზე, რომელმაც არ აპატია უნებური შეცდომა.

ბ) იგი გაბრაზებულია ძმაზე, რომელმაც შეგნებულად აარიდა თავი ბარვას.

გ) იგი მონდომებით მუშაობს, რომ მამის ქება დაიმსახუროს.

დ) იგი მონდომებით მუშაობს, რომ ძმას მაგალითი მისცეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. უფროსი ძმა „გრძნობდა, რანაირად ებერებოდა მკერდი, როგორ ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა სისხლი ძარღვებში“. მისი ამგვარი მდგომარეობა განაპირობა:

ა) ბრაზმა.

ბ) გაოცებამ.

გ) დაღლამ.

დ) კმაყოფილებამ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. უფროსი ძმის „უცნაური და ყოვლისმომცველი სიხარულის“ განცდა გამოიწვია იმან, რომ:

ა) მამის დავალება მზის ჩასვლამდე შეასრულა.

ბ) ნამდვილი ძმობის ფასი შეიგრძნო.

გ) სამუშაოს მარტომ გაართვა თავი.

დ) ძმის მორიდებული ნაბიჯების ხმა გაიგონა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 18. რომელ ეპიზოდში ჩანს ნაწარმოების მთავარი სათქმელი?

ა) რომელშიც გადმოცემულია ბავშვობისდროინდელი მოგონებით გამოწვეული მძაფრი ემოცია.

ბ) რომელშიც გადმოცემულია, როგორ ისრუტავდნენ ძმები გაზაფხულის დამათრობელ სურნელს.

გ) რომელშიც გადმოცემულია, როგორ უნელდებოდა უფროს ძმას სინდისის ქენჯნა.

დ) რომელშიც გადმოცემულია ძმებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(7) 19. ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი მე-20 გვერდზე მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.

კონსტიტუციის შესახებ

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტია. ტერმინი „კონსტიტუცია“ ლათინური სიტყვაა და „დაწესებას“, „დადგენას“ ნიშნავს. (1) --------. თანამედროვე გაგებით, ეს არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელშიც გათვალისწინებულია ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი მოწყობის საფუძვლები, მოქალაქეთა უფლებები და სხვ.

პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა. არაერთი ძველი ისტორიული წყარო გვაწვდის ამის შესახებ საინტერესო ცნობებს. (2) --------. პირველი სამართლებრივი აქტი, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტებად მოაღწია, იყო ბაგრატ კურაპალატის „სამართლის წიგნი“. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ვახტანგ VI-ის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სამართლებრივი დოკუმენტი. (3) --------.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრია სამართლის ძეგლი, კონსტიტუციონალიზმის ისტორიის დასაწყისად მაინც 1918 წლის 26 მაისი უნდა მივიჩნიოთ. (4) --------. აქტის საფუძველზე საქართველო სრულუფლებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამავე აქტით პირველად განისაზღვრა ქვეყნის მართვა-გამგეობის ახალი ფორმა – რესპუბლიკა.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაა. (5) --------. მან ეს კონსტიტუცია შეაფასა როგორც „ერთ-ერთი პროგრესული ევროპის კონტინენტზე, ვინაიდან ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღიარებდა ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორებიცაა: თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელთაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა“. აღნიშნული კონსტიტუციის უდიდესი დამსახურებაა იმის გაცნობიერებაც, რომ ადამიანი არის ძირითადი ღირებულება. (6) --------.

1990 წლის 14 ნოემბერს მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს მოქმედ კონსტიტუციაში. ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური“. (7) --------. გარდა ამისა, შეიცვალა სიმბოლიკა: გერბი, დროშა, ჰიმნი.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით, რომელიც 2018 წლის 25 მარტს მიიღეს, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) ამის დასტურია კონსტიტუციის ისეთი თავები, როგორებიცაა: „მოქალაქობა“, „მოქალაქის უფლებანი“, „სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ და სხვ.

ბ) ამ სამართლებრივ დოკუმენტში შედიოდა მოსეს კანონები, ბერძნულ-რომაული სამართალი, თავად ვახტანგ VI-ის კანონები და სხვ.

გ) აქედან გამომდინარე, სასამართლოზე – ხელისუფლების მესამე შტოზე, არაფერი იყო ნათქვამი.

დ) აღსანიშნავია, რომ მის ტექსტზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა ისაუბრა.

ე) ისტორიკოსები განსაკუთრებით აღნიშნავენ სამართალშემოქმედების მაღალ დონეს ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში.

ვ) კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ სამართლებრივ ურთიერთობათა მხოლოდ ნაწილს არეგულირებდა.

ზ) კონსტიტუციაში მოცემულია ის პრინციპები და ღირებულებები, რომლებიც ემსახურება სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის მიღწევას.

თ) კონსტიტუციების კატეგორიებად დაყოფა მაინც ხერხდება სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე.

ი) მის ნაცვლად ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდა.

კ) 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ პირველი კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტი – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი – მიიღო.

ლ) პოლიტიკური კონტექსტი ხშირად განაპირობებს ხოლმე გარკვეული ცვლილებების შეტანას კონსტიტუციაში.

მ) საქართველოს კონსტიტუციის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე დებატები არ წყდება.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u> მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(9) 20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა.

თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა X და მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).*

თუ წინადადება არ შეესაბამება ტექსტის შინაარსს, შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა X, მაგრამ აბზაცის ნომრის მითითება საჭირო არ არის.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ცოტა რამ დემოკრატიაზე

1. სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში ვკითხულობთ, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანაბარია. კონსტიტუციაში ჩაწერა თავისთავად პრობლემას არ ხსნის. უნდა არსებობდეს ამ თანასწორობით სარგებლობის საშუალება და კანონი ზედმიწევნით უნდა სრულდებოდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანობისაკენ გზა ხსნილია. სამართლიანობა არა მხოლოდ საშუალებას იძლევა, თითოეულმა მიიღოს კუთვნილი, არამედ ხელს უშლის მას, მიიღოს იმაზე მეტი, რაც ეკუთვნის; იგი ადგენს ადამიანთა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის საზღვრებს.
2. დემოკრატიის უპირველესი დასაყრდენი თავისუფლებაა და დასამალი არ არის, რომ ის ზოგ ქვეყანაში სირთულეებს აწყდება. ჯერ ერთი, თავისუფლება უნდა გვწყუროდეს, მეორეც, საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ის – უნდა ვერკვეოდეთ მის არსსა და ღირებულებაში; რაც მთავარია, უნდა განვიცდიდეთ მის არქონას.

წინადადებებზე გადასვლა

3. თავისუფლების მოთხოვნილებამ დროთა განმავლობაში უნდა გაიდგას ერში ფესვები, რომ ის არა მხოლოდ ადათად და წესად დარჩეს, არამედ აუცილებლობადაც იქნეს მიჩნეული. თუკი თავისუფლების გაცნობიერება დამოკიდებულია მისი არსის გარკვევაზე, ეს გარკვევა უმეტესწილად კულტურის დახმარებით უნდა მოხდეს. კულტურის განვითარება კი შესაძლებელია საზოგადოებაში, რომელშიც ხალხი უზრუნველყოფილია საარსებო მინიმუმით, უსაფრთხოებითა და სამუშაოთი.

4. ეკონომიკურად შეჭირვებულ ხალხს შეუძლია უკმაყოფილების გამოხატვა, ტყვეობის ბორკილებისგან თავის დახსნა, მაგრამ ვერასოდეს შეძლებს თავისუფლების შენარჩუნებას. თავისუფლების მოპოვება ძნელი არ არის, მისი შენარჩუნებაა ძნელი. იმისათვის, რომ თავისუფლებამ შედეგი მოიტანოს, ნაყოფი გამოიღოს, მან სისტემისა და წესრიგის სახე უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არეულობით, თვითნებობითა და აღვირახსნილობით დასრულდება.

5. რთულია თანასწორობისა და სამართლიანობის არსებობის შესახებ საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ღრმა უფსკრულით არიან ერთმანეთისგან დაშორებულნი მდიდრები და ღარიბები. ასეთ ქვეყნებში წოდებრივი კუთვნილებით თუ კლასობრივი წარმომავლობით მომდინარე პრივილეგიები აბრკოლებს უფლებრივი საზღვრების დადგენას; ეს ვითარება დემოკრატიის გზაზე დადებული მძიმე ლოდია.

6. ეკონომიკური ცვლილების გარეშე არ ხდება სოციალური ცვლილება, ხოლო სოციალური ცვლილების გარეშე დემოკრატიის დამკვიდრება შეუძლებელი იქნება. დემოკრატია, მმართველობის ფორმის გარდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი წესია. საჭიროა საზოგადოებაში გაჩნდეს „დემოკრატიული სინდისი“. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულმა ადამიანმა ისწავლოს დემოკრატიის ღირებულებების გამომუშავება საკუთარ თავში და ამ ღირებულებებთან შეჩვევა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

წინადადებებზე გადასვლა

წინადადების N	წინადადებები	შეესაბა-მება	არ შეე-საბამება	აბზაცის N
0.	*დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებას ეყრდნობა.*	*X*		*2*
1.	„დემოკრატიული სინდისი“ გულისხმობს ყოველი ინდივიდის მიერ საკუთარ თავში დემოკრატიული ღირებულებების გამომუშავებას.			
2.	ეკონომიკური ცვლილება ქვეყანაში არ ნიშნავს იმას, რომ მას სოციალური ცვლილებაც მოჰყვება.			
3.	თავისუფლების არსის გააზრება ყველაზე მეტად კულტურის მეშვეობით ხდება.			
4.	თანასწორობის შესახებ ჩანაწერს კონსტიტუციაში მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როდესაც ადამიანები ამ უფლებით რეალურად სარგებლობენ.			
5.	თუ თავისუფლებას მოიპოვებ, მისი შენარჩუნება არ გაგიძნელდება.			
6.	კანონის წინაშე ყველა ადამიანი რომ თანასწორია, ამას სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუცია აღიარებს.			
7.	კლასებს შორის განსხვავებული მატერიალური მდგომარეობა ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას.			
8.	კულტურა ვითარდება ნებისმიერ საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, არის ის მატერიალურად უზრუნველყოფილი თუ არა.			
9.	სამართლიანობაზე საუბარი მარტივია იქ, სადაც დიდი განსხვავებაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის.			

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

III. წერა (20 ქულა)

21. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:

პედაგოგთა ნაწილის აზრით, საგნის საფუძვლიანი ცოდნა სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ კარგი მასწავლებლის სახელი დაიმსახურო.

N21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, <u>100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის</u> ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით <u>არ შეფასდება</u> და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) 22. ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √*(ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

ტექსტი	სწორი ვარიანტები
ეტრატი განსაკუთრებული წესით დამუშავებული ხბოს ან ბატკანის ტყავია, რომელსაც ქაღალდის გამოგონებამდე საწერ მასალად იყენებდნენ. მისი დამზადება ძვირი ჯდებოდა,	00. ------ ბატკნის -------
	0. ---------- √ ----------
ამიტომ გამოუსადეგარ ეტრატს რეცხავდნენ ან ფხეკავდნენ, ნაწერს შლიდნენ და მასზე ახალ	1. ----------
ტექსტს სწერდნენ. რადგან ეტრატი კარგად იწოვს საღებავს, ძველი ხელნაწერი ბოლომდე არ	2. ----------
იშლებოდა და მისი ამოკითხვა მაინც შესაძლებელი იყო. ასეთ ფურცელს პალიმფსესტი ჰქვია.	3. ----------
ჩვენამდე მოღწეულია 4500-ზე მეტი პალიმფსესტური ფურცელი, რომელიც დათარიღებულია	4. ----------
V–VIII საუკუნეებით. ისინი დაცულია როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.	5. ----------
მათი შესწავლა ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. პალიმფსესტები დღეს	6. ----------
თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით ციფრულ ფორმატში გადაყავთ და	7. ----------
ქვედა ფენას ულტრაიისფერი სხივებით ამკვეთრებენ, რადგან მისი ამოკითხვა გაიოლდეს.	8. ----------

NN 23-30 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები.

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, NN 25-26 და N 30 *დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ* არ დაწერთ *დავალების პირობის შესაბამის* განმარტებას.

(1) 23. განუმარტეთ მოსწავლეს, რატომ იწერება დეფისით რთული სიტყვა (კომპოზიტი) *„მთა-ბარი“*.

(1) 24. განუმარტეთ მოსწავლეს, რა თავისებურებას იჩენს ბრუნებისას არსებითი სახელი *„მოყვარე“*.

(1) 25. მოსწავლეს ევალება დაურთოს ზმნას სხვათა სიტყვის ნაწილაკი *-თქო* ან *-მეთქი* შემდეგ წინადადებაში:
მარიამ, ხომ გთხოვე, არ დაიგვიანო-... .
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ სწორად შეასრულოს დავალება.

(1) 26. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მოხუცი ბუხართან ზის და სთვლემს.*
განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) 27. რით განსხვავდება მოცემულ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვები ერთმანეთისაგან?

1. ჩვენ სახლის <u>წინ</u> შევჩერდით.

2. ისინი სწრაფად მიიწევენ <u>წინ</u>.

(2) 28. დაასახელეთ, რომელი ორი გრამატიკული კატეგორიით განსხვავდება ერთმანეთისაგან ზმნები:

აადუღებს, აუდუღებს.

(2) 29. ა) განუმარტეთ მოსწავლეს, როგორ გაარკვიოს, რომელ ბრუნვას გამოხატავს *მე* ნაცვალსახელი შემდეგ წინადადებაში:

მე უკვე წავიკითხე ეს წიგნი.

ბ) დაწერეთ წინადადება, რომელშიც *მე* ნაცვალსახელი სხვა ბრუნვას გამოხატავს.

(2) 30. მოსწავლემ დაწერა წინადადება: *მომღერლების გუნდმა დედაქალაქში რამდენიმე კონცერტი გამართეს.*

ა) რა ტიპის შეცდომა დაუშვა მოსწავლემ?

ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.